



ევროკავშირი
საქართველოსთვის



KfW



აჭარის წყლის
ალიანსი

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N31
თებერვალი, 2023

ტრენინგი ოპერირებისა და მართვის საკითხებში ახლად დაარსებული კომპანიების თანამშრომლებისთვის

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებში - ხულო, შუახევი, ქობულეთი, ხელვაჩაური და ქედა, წყალმომარაგებისა და წყალარინების საწარმოები შეიქმნა. სს „აჭარის წყლის ალიანსი“ აქტიურადაა ჩართული აღნიშნულ პროცესში.

პროგრამის ფარგლებში, მომზადდა და განხორციელდა ტრენინგების სერია ახლად შექმნილი კომუნალური კომპანიების თანამშრომლებისთვის. სწავლება თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს მოიცავდა. ყურადღება გამახვილებული იყო სისტემების სათანადოდ ოპერირების მართვისა და მენეჯმენტის საკითხებზე. სწავლების ფარგლებში, თანამშრომლებმა ასევე გაიარეს ტრენინგი შრომის, ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ.

ტრენინგების პრაქტიკული კომპონენტი, წყალარინების სისტემების ექსპლუატაციას და პროგრამის ფარგლებში შესყიდული სპეცტექნიკის სათანადოდ ოპერირების სწავლებას მოიცავდა.

სპეცტექნიკის ოპერირების ტრენინგები აქტიურად გაგრძელდება მომდევნო 3 თვის განმავლობაში.

აჭარის მუნიციპალიტეტებში კომუნალური ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, საწარმოების თანამშრომლები სისტემების მოვლა-პატრონობაზე იქნებიან პასუხისმგებელნი.



ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ.

პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



FICHTNER



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge



Funded by
the European Union



KFW



აჭარის წყლის
ალლიანსი

AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

NEWSLETTER N31

FEBRUARY, 2023

Staff Training In Operation And Maintenance For A Newly Established Utility Companies

In the framework of the Ajara Rural Water Supply and Wastewater Program, in all rural municipalities, Khulo, Shuakhevi, Keda, Khelvachauri, and Kobuleti, municipal water supply and wastewater utilities were established. The Ajara Water Alliance is actively assisting this process.

A series of trainings was prepared and implemented for the employees of the newly established utilities. Emphasis was laid on Theoretical and Practical Trainings of the adequate management, operation and maintenance of Operation and Maintenance Equipment. As integral part of the trainings, the officers underwent training in Occupational Health and Safety requirements and activities.

The trainings' practical component included instruction in the proper use of the specialized equipment obtained through the program as well as wastewater system operation.

Throughout the next three months, special equipment operating instruction will be actively continued.

After the construction of new water supply and wastewater systems in the Ajara municipalities and rural Program villages, the employees of the enterprises will be responsible for the sustainable management, operation and maintenance of the new water supply and wastewater systems.



GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union. The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara. "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance". The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent. The content of the Programme "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge